პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 111 (5141)

1974 წ. 6 ივნისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

პრინციპულ ბრძოლაში

როცა ძალები უთანაბროა

ამ მატჩს მოუთმენლად ელოდნენ გულშემატკივრები. კალათბურთელთა ტურნირი ჯერ არც იყო დამთავრებული, მაგრამ უკვე წყდებოდა ჭაბუკთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონობის საკითხი.

თბილისისა და ქუთაისის გუნდებმა შედარებით იოლად მოაგვარეს საქმე სხვა მეტოქეებთან და ახლა პრინციპულ მატჩში უნდა გადაწყვიტათ, ვინ არის უძლიერესი. ბრძოლა თბილისელებმა მოიგეს 9 ქულის უპირატესობით (75:66) და ჩემპიონობაც მათ დარჩათ. მაგრამ თამაშის პროცესში უხვად იყო საინტერესო და აბაღელვებელი მომენტები. განსაკუთრებით ეს ითქმის პირველი ტაიმის შესახებ, რომელიც დედაქალიქის კალათბურთელებმა მხოლოდ ქულით მოიგეს — 30:29.

გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც ქებას ერთნაირად იმსახურებენ, ვინაიდან მძაფრ და შინაარსიან ბრძოლაში თავი არ დაუზოგავთ. თბილისელთა უპირატესობა, რომელმაც საბოლოოდ მათ გამარჯება მოუტანა, ლოგიკურია. გუნდი დაკომპლექტებულია თანაბარძალოვანი სპორტსმენებით. მაღალი კლასის კალათბურთელები ჰყავთ ქუთაისელებსაც, მაგრამ ძირითად და სათადარიგო მოთამაშეთა შორის განსხვავება ერთობ საგრძნობია, ამას კი სატურნირო ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრებს ლიდერთა პოზიციები არ შეუცვლია. ქუთაისმა იოლად მოუგო გორს (65:42), თბილისმა კი — აფხაზეთს — 76:58.

წარმატებად უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთის კალათბურთელთა III ადგილი. მათ მხოლოდ ორი შეხვედრა წააგეს (თბილისთან და ქუთაისთან) და დამაჯერებლად მოუგეს პრინციპული ბრძოლა ჰაერის გუნდს — 79:63 (38:27).

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. აფხაზეთი, 4. ჰაერა, 5. გორი, 6. რუსთავი.

გოგონათა ტურნირის მთავარი ფავორიტი — თბილისის გუნდი ბევრად სჯობდა მეტოქეებს. მან ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო და I ადგილი საუცხო ბალანსით (359—226) დაიკავა.

კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს აფხაზეთის გოგონებმაც.

რა შეიძლება ითქვას გოგონათა ტურნირზე? პირველ ყოვლისა ის, რომ მომზადების დონე აქ აშკარად უთანაბრო იყო. ზოგჯერ განსხვავება გუნდებს შორის იმდენად დიდი ჩანდა, რომ ბრძოლა ყოველგვარ სანახაობრივ ეფექტს კარგავდა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ თბილისისა და სამტრედიის გუნდების შეხვედრის პირველი ნახევარი. 20 წუთის მანძილზე სამტრედიელმა კალათბურთელებმა მხოლოდ 7 ქულის აღება შეძლეს, მაშინ, როცა თბილისელებს 36 ქულა ჰქონდათ. ასეთმა უპირატესობამ თბილისის გუნდს მეორე ტაიმში თამაშის ხალისი დაუკარგა და ბრძოლაც თითქოს გათანაბრდა. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო...

გოგონათა ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. რუსთავი, 4. ქუთაისი, 5. სამტრედია, 6. ჰაერა.

Ტ. ფცქიალაძე.

ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ-74

● **ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐ**, 3 ივნისი. იტალიის ამ ქალაქში გაიმართა რაპირისტთა ტრადიციული, XXVIII საერთაშორისო ტურნირი ჯოვანინის თასზე. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის 137 მოფარიკავე გამოვიდა. საუცხოოდ იასპარეზა ტაშკენტელმა ს. რუზიევმა, რომელმაც ფინალში ოთხი შეხვედრა მოიგო და საბოლოოდ I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდა იტალიელი სიმონჩელი, ხოლო III — მსოფლო ჩემპიონი ნოელი (საფრანგეთი). მინსკელ ა. რომანკოს VI ადგილი ხვდა. საბჭოთა რაპირისტებმა ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში უკანასკნელად 1969 წელს გაიმარჯვეს.

● *რომი*, 4 ივნისი. 17 წლის ნიჰილერმა შვედმა ჩოგბურთელმა ბ. ბორგმა კვლავ სპეციალისტთა და ჟურნალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა — იტალიის ღია ჩემპიონატის ფინალურ მატჩში გატეხა სახელგანქმული რუმინელი სპორტსმენის ი. ნასტასეს წინააღმდეგობა — 6:3, 6:4, 6:2. ქალთა შორის იტალიის ჩემპიონი გახდა ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი კ. ევერტი, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მ. ნავრატილოვას (ჩეხოსლოვაკია) მოუგო — 6:3, 8:3. მოსკოველ ო. მოროზოვასთან ერთად ევერტი ქალთა წყვილების ფინალური მატჩის სათამაშოდაც მზად იყო, მაგრამ ამ ინტერნაციონალურ დუეტს უბრძოლველად მიეკუთვნა I ადგილი: მისი მეტოქეები ჯ. ორტი და ჯ. მასტროფი (ორივე — ბერ) სარბიელზე ვერ გამოვიდნენ მასტროფის ავადმყოფობის გამო.

● **ᲕᲐᲚᲓᲘᲙᲠᲐᲘᲒᲣᲠᲘ**, 4 ივნისი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში საინტერესოდ ჩატარდა ახალგაზრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. სსრ კავშირის ნაკრებმა ფრედ (4:4) ითამაშა შეჯიბრებაში გამარჯვებულ ესპანეთის გუნდთან, 8 ქულა დააგროვა და II ადგილი დაიკავა. ესპანელებს 9 ქულა აქვთ.

● **ᲛᲘᲜᲡᲙᲘ**, 4 ივნისი. მინსკის შემოგარენში მდებარე სპორტულ ბანაკ „სტაიკიში“ დღეს დაიწყო მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრება ესპადრონისტებმა გახსნეს. ბილიკზე გამოვიდა ყველა ცნობილი ოსტატი — ვ. ნაზლიმოვი (მოსკოვის ოლქი), ე. ვინოკუროვი (ლენინგრადი), ვ. ბაკენოვი (ომსკი), ვ. კროვოპუსკოვი (მოსკოვი) და, რა თქმა უნდა, ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს 1973 წლის საუკეთესო მოფარიკავე ვ. სიდიაკი (მინსკი). ყველა სახელოვანმა სპორტსმენმა წარმატებით განვლო წინასწარი შეჯიბრებები და ნახევარფინალში გავიდა.

● **ᲘᲔᲜᲐ**, 4 ივნისი. 22 წლის როზემარი ვიტჩასმა გდრ-ის რეკორდი დაამყარა — 191 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს დედამიწაზე და სულ 3 სანტიმეტრით ჩამოუვარდება მსოფლიო რეკორდს.

● **ᲖᲐᲛᲠᲔᲛᲘ**, 4 ივნისი. სიგრძეზე ხტომაში იუგოსლავიის რეკორდი 16 სანტიმეტრით გაუმჯობესდა! ამ წარმატებას მიაღწია ნ. სტეკიჩმა, რომელმაც წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგი — 815 სმ — გაიმეორა. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ეროვნული რეკორდი დაამყარა ჟელიკა პავლიჩიჩმაც, რომელმაც 100 მ 11,2 წამში გაირბინა. 200-მეტრიანი მანძილის ფინიშთან კირველი იყო ავსტრალიელი რელენ ბოილი — 22,9. ბოლონეელმა ელენბეტა კატოლიკმა 800 მეტრზე რბენაში წლეულს საუკეთესო შედეგს (2.02,5) მიაღწია ევროპის სტადიონებზე.

● **ᲝᲠᲘᲜᲝᲙᲝᲡᲘ**, 4 ივნისი. ჰელსინკის მახლობლად მდებარე ამ დაბაში ასპარეზობისას რ. სტოლბერგმა ფინეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში — 20,69 მ.

ᲤᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ნანა — ფინალში

რიგა, 5 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ნ. ალექსანდრია (თბილისი) — მ. შულის (ლვოვი) მატჩის VIII პარტია გადადებული იყო ქართველი ოსტატისთვის უარეს პოზიციაში. ალექსანდრიასთვის ყაიმი გამარჯვების ტოლი შედეგი იქნებოდა, ვინაიდან ამით იგი მატჩს მოიგებდა: ამიტომ შეწყვეტილი პოზიციის სწორ ანალიზს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორც ჩანს, შულმა და მისმა მწვრთნელმა, ოსტატმა ვ. ფელიანდინოვმა მთელი სიგრძე-სიგანით გააანალიზეს პოზიცია და მოგებისკენ მიმავალი ბილიკი მონახეს. მათი მიზანი ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკის შექმნა და ამოძრავება იყო. არც ალექსანდრიასა და მის მწვრთნელს, დიდოსტატ ბ. გურგენიძეს დაუკლიათ მეცადინეობა. მათ მიაგნეს კოსტრთამამის მარჯვე გეგმას შავი ფიგურების მაქსიმალური აქტივობით შულის ინიციატივის განვითარების ხელმეშალველად.

გაჩაღდა მძაფრი ბრძოლა. შულმა გამსვლელი პაიკი შექმნა. ალექსანდრიამ თავისი მეფე ცენტრში შეიყვანა, რისთვისაც პაიკი გასწირა. ეტლის დახმარებით მან მალე თვითონაც გამსვლელი პაიკი მიიღო. 65-ე სვლისთვის დაფაზე კრიტიკული პოზიცია შეიქმნა.

არ დაგიმალავთ, ბევრი, მათ შორის ოსტატებიც, ალექსანდრიას პოზიციას წასაგებად მიიჩნევდა. პრეს-ცენტრშიც უმრავლესობა ამ აზრისა იყო. მაგრამ თბილისელმა ოსტატმა ქალმა ყველა გაკვნა, როცა ეტიუდური გზით ყაიმს მიაღწია. ეს ასე მოხდა: ალექსანდრიამ თავისი გამსვლელი პაიკი აამოძრავა და მეტოქეს დაეშერა მის გამსვლელ პაიკში ეტლის შეწირვით. შულმა მეფე მეორე გამსვლელი პაიკის დასახმარებლად წაიყვანა, მაგრამ 68-ე სვლით ალექსანდრიამ მუდმივი ქიშის მუქარა შექმნა. დასკვნითს პოზიციაში 70. მფb6 ე:g4 შემდეგ ყაიმი ასე გამოდიოდა: 71. b8ლ ეb4+ 72. მფa7 ე:b8 73. მფ:b8 c1ლ 74.ე:c1. სწორედ ამ ვარიანტის გაჩო მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5,5:2,5 ალექსანდრიას სასარგებლოდ. პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ბრძოლას თბილისელი მოჭადრაკე განაგრძობს.

ალექსანდრიამ დიდი შემართებით ითამაშა. მან ხუთი პარტია მოიგო, ორი წააგო და ერთი ყაიმით დაამთავრა. ზოგიერთი პარტია მაღალ შეფასებას იმსახურებს გონებამახვილური კომბინაციისთვის. ნანა ზოგჯერ ცდებოდა კიდეც, მაგრამ დიდ ბრძოლაში შეცდომებს გვერდს ვერ აუვლი.

ფინალურ მატჩში ალექსანდრიას მეტოქე კოზლოვსკაია — ლევიტინას ორთაბრძოლაში გამარჯვებული ოსტატი იქნება. ფინალური შეხვედრა სექტემბერში გაიმართება. ამ ჭიდილში გამოვლინდება მსოფლიო ჩემპიონის მეტოქე, რომელსაც ნ. გაფრინდაშვილი 1975 წლის გაზაფხულზე უნდა შეხვდეს.

გთავაზობთ VIII გადადებული პარტიის დაბოლოებას:

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ



ᲨᲣᲚᲘ

41. a4 (ჩაწერილი სვლა) 41. ... ეf7 42. მფd2 ეa7 43. c2 h4 44. მფc3 ეf7 45. კ:f5 ე:f5 46. ე:h4 ე:f2 47. ეg4 ეe2 48. ე:g6 ეe3+ 49. მფc2 ეa3 50. ეg7 მფe5 51. ეb7 მფd4 52. ე:b6 ე:a4 53. ე:e6 ე:c4+ 54. მფd1 ეb4 55. b6 მფd3 56. მფc1 ეc4+ 57. მფd1 ეb4 58. ეd6+ მფc3 59. მფe2 მფb2 60. ეc6 c4 61. მფd2 მფb3 62. g4 ეb5 63. მფe3 c3 64. მფf4 ეb4+ 65. მფf5 ეb5+ 66. მფe6 c2 67. მფd7 მფb2 68. მფc7 ეg5 69. b7 ეg7+. ყაიმი.

ნ. ᲪᲣᲠᲐᲕᲚᲘᲝᲕᲘ,
ჟურნალ „შახმატის“ პასუხისმგებელი მდივანი, ალექსანდრია — შულის მატჩის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი.



ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ ᲜᲘᲪᲐᲨᲘ

დღეს ნიცაში იწყება საიუბილეო XXI საჭადრაკო ოლიმპიადა. შეჯიბრების დღეებში გაიმართება ფიდე-ს საიუბილეო კონგრესი, რომელიც ამ ორგანიზაციის შექმნის 50-ე წლისთავს მიეძღვნება.

1924 წლის 20 ივლისს პარიზში დაარსდა ფიდე, რომელიც საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების მაორგანიზებელი ძალად იქცა. სწორედ მისი თაოსნობით 1927 წლიდან ტარდება საჭადრაკო ოლიმპიადები, რომელთაც უწინ „ერთა ტურნირებს“ უწოდებდნენ.

ოლიმპიადის ჩემპიონები ყოფილან აშშ-ს (ოთხჯერ), უნგრეთის (ორჯერ), პოლონეთის, გერმანიის, იუგოსლავიის გუნდები. *1952* წლიდან დღემდე (თერთმეტჯერ) ჰამოლტონრასელის თასის მფლობელნი საბჭოთა მოჭადრაკეები არიან.

პირველ ოლიმპიადაში *15* ქვეყანა მონაწილეობდა, ოცდამეერთეში კი *78* სახელმწიფო ჩაებმება. ფიქრობენ, რომ ნიცის ოლიმპიადაში ბრძოლები უაღრესად მძაფრი იქნება. ამას დასავლეთში ახალი ნიჭიერი მოჭადრაკეების გამოჩენა განაპირობებს. მაგალითად, უნგრეთის კოლექტივში (თითოეულ ოლიმპიურ გუნდში ოთხი ძირითადი და ორი სათადარიგო მონაწილეა) სახელგანთქმულ ლ. პორტიშს მხარში ამოუდგებიან ახალგაზრდა დიდოსტატები დ. საქსი, ა. ადორიანი, ზ. რიბლი და ა. ჩომი.

სსრ კავშირის გუნდს (ა. კარპოვი, ვ. კორჩნოი, ბ. სპასკი, ტ. პეტროსიანი, მ. ტალი, გ. კუზმინი, მწვრთნელები ე. გელერი, ს. ფურმანი, კაპიტანი ვ. სმისლოვი) დიდი ბრძოლა მოელის თასის შესანარჩუნებლად, თუმცა იგი მთავარი ფავორიტია.

დიდ ინტერესს იწვევს აშშ-ს მოჭადრაკეთა მონაწილეობაც. ისედაც დიდოსტატურ გუნდში (ს. რეშევსკი, ლ. კავალეკი, რ. ბირნი, უ. ლომბარდი, უ. ბრაუნი) შეიძლება თვით მსოფლიო ჩემპიონი რ. ფიშერიც იყოს. მან ორგანიზატორებს ცალკე შენობაში თამაში მოსთხოვა. თავისი მოთხოვნა ფიშერმა ასე გაამართლა: ჩემი პარტია ჟურნალისტებისა და გულშემატკივართა ცხოველ ინტერესს გამოიწვევს და დარბაზში, სადაც სხვა გუნდებიც ითამაშებენ, დიდი ხმაური იქნებაო. მსოფლიო ჩემპიონის მოთხოვნა ოლიმპიადის ორგანიზატორებს გადაეცათ, მაგრამ პასუხი ჯერ არ ჩანს.

ოლიმპიადის მასპინძლები საგულდაგულოდ მოემზადნენ სახელგასთქმული მოჭადრაკეების შესახვედრად. ცალკე იზრუნეს ფიდე-ს საიუბილეო კონგრესის ჩასატარებლად.

ფიდე-ს კონგრესი საჭადრაკო ცხოვრების ბევრ საჭირბოროტო საკითხს განიხილავს. მათგან უმთავრესია ფიდე-ს პრეზიდენტის არჩევნები და ვაჟთა მსოფლიო პირველობის ახალი დებულების დამტკიცება.

დოქტორ მ. ეივეს გაუვიდა პრეზიდენტობის ვადა (პრეზიდენტს ოთხი წლით ირჩევენ). საჭადრაკო ცხოვრებას აშკარად დაეტყო მისი დაუღალავი საქმიანობა. ამიტომ *73* წლის ეივე ფიქრობს, რომ კონგრესმენები კვლავ გამოუცხადებენ ნდობას და პრეზიდენტად აირჩევენ ახალი ვადით.

მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი დებულება ძირითადად მსოფლიო ჩემპიონისა და პრეტენდენტის მატჩს შეეხება. ფიშერის წინადადებათა შესახებ ვრცლად დაიწერა „ლელოს“ *6* აპრილის ნომერში.

დიდი საჭადრაკო დღეები საფრანგეთში სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრში იქნება.

Თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲞᲠᲘᲖᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲗ

საქართველოს „სპარტაკის“ ავტომობილისტებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ლენინგრადში „ნევის წრეზე“ ი. გაგარინის სახელობის პრიზზე გამართულ ტრადიციულ საგზაოკეცილო რბოლაში.

შეჯიბრება ჩატარდა ახალი სპორტული კლასიფიკაციით, რომელიც მსუბუქი მანქანების სამ ჯგუფად დაყოფას ითვალისწინებს.

I — III ფორმულის სარბოლი მანქანებით ასპარეზობაში ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა გ. დგებუაძემ (თბილისის № 3 მსუბუქი ტაქსების საწარმო).

„ეიგულისა“ და „მოსკვიჩის“ სტანდარტული მანქანებით რბოლაში სტარტიდანვე დწინაურდა ვ. სავიცკი (თბილისის № 3 მსუბუქი ტაქსების საწარმო). მან ეს უპირატესობა ფინიშამდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა.

„ვოლგის“ კლასის სერიული ავტომანქანებით შეჯიბრებაში გ. თვაური (თბილისის № 3 მსუბუქი ტაქსების საწარმო) თითქმის დისტანციის ორ მესამედზე ლიდერობდა. მაგრამ შემდეგ თვაურს მანქანამ უღალატა და სპორტსმენი რბოლას გამოეთიშა, რამაც მოსკოველ ა. ზამისლოვს გამარჯვების საშუალება მისცა.

I — IV ფორმულის მანქანებით რბოლის ფინიშთან პირველი მიიჭრა ესტონელი ტ. ტეესალუ.

მასპინძლებმა, ლენინგრადელმა შოფრებმა მხოლოდ ერთ კლასში — კონსტრუქციული ცვლილების ავტომანქანებით შეჯიბრებაში იმარჯვეს (ვ. სმელკოვი).

გუნდურ ჩათვლაში გაგარინის სახელობის პრიზი საქართველოს ავტომობილისტებს გადაეცათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-ბუნების ძალი არ ეყოფა

განა ეს პრეტენზიებია?

სად ისვენებთ შაბათ-კვირას, უქმე დღეებში, უბრალოდ, თავისუფალ დროს? ხან სად და ხან სად, — დაახლოებით ასეთი იქნება თქვენი კასუხი.

ეს სოციოლოგიური ანკეტის რომელიმე შეკითხვა არ გეგოხოთ. მაგრამ ურბანიზაციის ეპოქაში განსაკუთრებით საჭირბოროტოა დასვენების, ქალაქგარეთ გასვლის, ბუნების წიაღში დასვენების პრობლემა. დიახ, პრობლემა დიდი ხანია დაისვა, მაგრამ მისი სრულფასოვანი გადაწყვეტა ჩვენში, სამწუხაროდ, ძალიან ჭიანურდება.

ნუ გამოვეკიდებით დასვენების კომპლექსური პრობლემის ყველა რგოლს. მათ ცალ-ცალკე შესწავლა და განხორციელება ესაჭიროებათ, რათა ადამიანი ჯანმრთელი იყოს, არ მოაკლდეს დედა-ბუნების მადლი, იყოს ხალისიანი, მხნე, შრომაში თუ საზოგადო ასპარეზზე ულევი ენერგიით აღსავსე.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, სად გვიხარია თავისუფალ დროს ეგრეთ წოდებული კულტურული დასვენება? საქართველოში, გინდაც ჩვენს დედაქალაქში, საუცხოო დასასვენებელ-გასართობ ადგილებს რა გაძოლევს? მაგრამ სერვისი? აი, პრობლემა, რომელიც აწუხებს ბუნების წიაღში განმარტოების მსურველ ოჯახებს, მეგობარ-ამხანაგებს, ფიზკულტურის ენთუზიასტებს. მათს განკარგულებაშია ბუნება თავისი ხელუხლებელი მშვენიერებით. მაგრამ რა ხშირად ვამჩნევთ და ვგრძნობთ, რომ ადამიანს ხელი არ შეუწყვია ბუნებისთვის, არ უზრუნია დამსვენებელთა მომსახურებისთვის. ამ საკითხს კვლავაც დაკუბრუნდებით, ჯერ კი კონკრეტულ პრობლემებზე ვისაუბროთ.

არა გვგონია, საქართველოში ვინმეს კუს ტბის შესახებ არ სმენოდეს. მაღლა, მთებში,. თვლემს პაწაწინა ტბა, რომლის სახელი ერთი შეხედვით სრულიადაც არ შეეფერება მის სიდიდეს. მაგრამ ასეთ ლამაზ პანორამას ბევრგან როდი ნახავთ. მისი ხეივნები, ტბისკენ მიმავალი გზა, სამწვანე, არაჩვეულებრივი გადასახედი, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს თბილისი-ქალაქის უბნები... ახლა ჰაერი, ტბის კამკამა და გამჭვირვალე ჰაერი! არა, ცოდოც იქნება, ასეთ ადგილს ხალხი არ ეტანებოდეს.

სერვისი... ლირიკული გადახვევის შემდეგ ძალაუნებურად ფიქრობ საქმის პრაქტიკულ მხარეზე. მოიკოჭლებს, ძალიან მოიკოჭლებს სერვისი, განსაკუთრებით იმათთვის, ვინაც აგერ უკვე ათობით წელია კუს ტბის მიდამოები სისხამ დილით წვრთნა-ვარჯიშის უსაყვარლეს ადგილად დაიგულა. არა, ისე კი არ გაგვიგოთ, თითქოს აქ მოვარჯიშე ენთუზიასტები, ფიზკულტურის ჭეშმარიტი ტრფიალნი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ვინმეს მიმართ. სრულიადაც არა. ტბის შემოგარენი მათთვის ვარჯიშის საუკეთესო კერაა. რაც შეეხება პრეტენზიებს, წინა წლებში საკმაოდ ბევრიც იყო, მაგრამ ის ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა... მერე შეიქმნა აზრი, რომ ფიზკულტურელთათვის სათანადო ორგანიზაციებს ნაკლებად სცალიათ და, ბუნებრივია, ენთუზიასტებმა ხელი ჩაიქნიეს, ძველებურად, „მამაპაპურად“ განაგრძეს ვარჯიში.

ისე, კაცმა რომ თქვას, რა დიდი პრეტენზიები ჰქონდათ სპორტის მოყვარულებს — მუშებს, მეცნიერ-მუშაკებს, ბუღალტრებს, ზეინკლებს, სტუდენტებს, ინჟინრებს, მსატვრებს, ექიმებსა და სხვა პროფესიების წარმომადგენლებს?! ბევრი არაფერი. განა სპორტული ღონისძიებებისთვის ზედგამოჭრილ ამ კუთხეში არ უნდა იყოს თუნდაც საშხაპეები, სადაც დილის ვარჯიშის შემდეგ ადამიანს შესაძლებლობა მიეცემა „ჭირის ოფლი“ ჩამოირეცხოს და თავისუფლად ამოისუნთქოს? გასახდელები, ნავების გამქირავებელი პუნქტი, რომელიც სისხამ დილით ასულ ხალხს მოემსახურება (ბოლოს და ბოლოს, ტბაზე ვლაპარაკობთ!)? სასმელი წყლის შადრევანი, რომელიც მხოლოდ მაშინ არ „იმუშავებს“, როცა მოგვუნებება? ერთი სიტყვით, მოვარჯიშენი (მათი რიცხვი ასეულებს აღწევს) დღემდე „ღვთისა და ტბის“ ანაბარა არიან.

სამაგიეროდ, კარგად ზრუნავენ ქეიფისა და დროსტარების მოყვარულებისთვის, რომლებსაც, საბედნიეროდ, სისხამ დილით აქ ვერ ამოიყვანთ.

ვერ ვიტყვით, თითქოს კუს ტბის კეთილმოწყობისთვის, უფრო სწორად, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კერად მისი გადაქცევისთვის არავის ეფიქროს. ეს არ იქნებოდა მართალი. რესპუბლიკაში ყველა დარგში მომხდარ გრანდიოზულ გარდაქმნებთან ერთად იფიქრეს მოსახლეობის კულტურულ დასვენებაზეც. გარკვეული თანხები გამოყვეს კუს ტბის კეთილმოწყობისთვის და კვლავაც გამოყოფენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თანხა ჯერაც არავის გამოუყენებია.

სულ ახლახან საქმეს სასიკეთო პირი დაეტყო. ამჯერად ტბის კეთილმოსაწყობად ენერგიულად ამოქმედდნენ და ამ საქმის თაოსნებს მხარში ამოუდგა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი.

ჯერ იმაზე, რაც უკვე გააკეთა ფიზკულტურის ინსტიტუტმა ტბაზე. დილაობით თავისებური „მორიგეობა“ დაწესდა. აქ ამოდიან ფიზკულტურის მეთოდისტები, სამედიცინო პერსონალი, მასაჟისტები, რომლებიც თვალსაჩინო დახმარებას უწევენ ენთუზიასტ ფიზკულტურელებს. მოგეხსენებათ, დილეტანტი ფიზკულტურელი ვარჯიშის ინტენსივობას ხშირად სწორად ვერ საზღვრავს. იგი უთუოდ უნდა ვარჯიშობდეს გამოცდილი ექიმის ზედამხედველობით, რათა სპორტული დატვირთვა სწორად დაგეგმოს ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მესვეურებმა ფიზკულტურელთა თხოვნა გაითვალისწინეს და ახლა საბაგირო გზა დილის შვიდის ნახევრიდან მუშაობს. მადლობის მეტი რა გვეთქმის ამ კეთილი საქმის თაოსნების მიმართ!

ის, რაც გაკეთდა, ცოტააო, იტყვიან ენთუზიასტი ფიზკულტურელები. სხვათა შორის, ამავე აზრისა არიან ისინი, ვინც სერვისის პრობლემის გადაჭრას მოკკიდა ხელი.

მაშ ასე, რა უნდა გაკეთდეს? რაზეც ახლა გვექნება ლაპარაკი, არცთუ შორეული პერსპექტივაა.

ვთქვათ, დილით საბაგირო გზით ავდივართ ტბაზე. იქ განსაზღვრულ დროს მოვარჯიშეებს ხვდებიან გამოცდილი მეთოდისტ-ინსტრუქტორები.

აქ ყოველ დილით ნახავთ იმპროვიზებულ მინი-ფეხბურთს.



ამ ადამიანმა სიკაბუკის წლებს კარგა ხანია გადააბიჯა, მაგრამ მას თითქმის ყოველ დილით ნახავთ კუს ტბისკენ მიმავალ მათრახივით მოქნეულ გზაზე. მისი მხრა-მხრა, სიმარდე და სიმხნევე მართლაც რომ ჭაბუკურია. ლადო ალექსი-მესხიშვილს იცნობენ არა მარტო როგორც გამოჩენილ ხუროთმოძღვარს, რუსთველის პრემიის ლაურეატს, არამედ როგორც წარსულში საკმაოდ ძლიერ სპორტსმენსაც. თუმცა, რატომ წარსულში? სპორტისთვის, ფიზკულტურისთვის მას დღესაც არ მიუნებებია თავი.

დღის ყველა მონაკვეთში ლამაზია კუს ტბა, მაგრამ, დაგვერწმუნეთ, არაფერი სჯობს მას გამთენიისას. ამ სილამაზის აღწერას პოეტის კალამი სჭირდება. დიახ, ვერც ეს ფოტო გამოხატავს მშვენიერების იმ განცდას, რასაც რიფრაფზე კუს ტბა გვიტოვებს.

ლევან მოსეშვილი უკვე მეორე წელია თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდის მწვრთნელია. მას თითქოს აღარ სჭირდება წვრთნა-ვარჯიში, მაგრამ აი, ამ ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ, რა მონდომებით „იკლებს“ იგი კილოგრამებს, რათა მუდამ სპორტულ ფორმაში იყოს. ხომ იცით, კარგი ძაგალითი მწვრთნელმა თავად უნდა უჩვენოს გუნდის წევრებს.

რადიოკვანძი ახალბედას აცნობს სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში გაერთიანების პირობებს. შემდეგ ჯგუფები ორგანიზებულად იწყებენ ვარჯიშს, მაგრამ ენთუზიასტთა დიდი უმრავლესობა უკვე იმ სტადიაშია, როცა ჩვეულებრივი დილის გამამხნევებელი ვარჯიში მათთვის საკმარისი აღარ არის. მოთელვის შემდეგ ბევრი ამჯობინებს ფრენბურთს, ფეხბურთს, ჩოგბურთს, ტანვარჯიშს, ჭიდაობას... სამწუხაროდ, საამისოდ ჯერჯერობით, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, ტბაზე შესაფერისი პირობები არ არის. მინი-ფეხბურთის იმპროვიზებული მოედანი კეთილმოუწყობელია. აქ სულ ადვილად შეიძლება დაშავდეს კაცი. რაც შეეხება სხვა სახეობებს, ტბის მიდამოებში მარტივი ტიპის სპორტული ბაზების სახსენებელიც არ არის. მართალია, რამდენიმე დღის წინათ აქ გააბეს ფრენბურთის ბადე, მაგრამ მოედანი „ავარიულ“ მდგომარეობაშია.

აქვე უნდა გამოვთქვათ იმედი, რომ გასაკეთებელი ალბათ გაკეთდება.

პროექტის მიხედვით, კუს ტბაზე მოეწყობა ნავმისადგომი, რომელიც მოემსახურება ნიჩბოსნობისა და თევზაობის მოყვარულებს. გაიხსნება საექიმო პუნქტი, მოვარჯიშეთა განკარგულებაში იქნება გასახდელები და საშხაპეები. რა თქმა უნდა, შეიქმნება მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი ტანვარჯიშული იარადებით, საჭიდაო ორმოთი, ფრენბურთის, ჩოგბურთისა და მინი-ფეხბურთის კეთილმოწყობილი მოედნებით...

ხელს ხომ არ შეუშლის ამ იდილიას რესტორნისა და ბუფეტების მეზობლობა, რომლებიც მაგარი სასმელების მოყვარულთა თავისებურ კლუბად არიან ქცეული? რა თქმა უნდა, შეუშლის. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, რომ ტბის მიდამოებში ალკოჰოლიანი სასმელები დღის საათებში არ გაიყიდოს. დასვენება, კერძოდ, ფიზკულტურა და სპორტი ამგვარ სასმელებს ვერ ეგუება.

ტბის შემოგარენი კულტურული დასვენებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის თვალსაჩინო კერად უნდა გადაიქცეს.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

ქჯოგეს საახელოვან გუნდს

რიგა, 5 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ უკრაინის, საქართველოს და ლატვიის მოჭადრაკეთა გუნდების მეგობრულ მატჩ-ტურნირში მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

საქართველოს ჩემპიონმა ც. კობაიძემ სძლია ვ. როლაპას (ლატვია), რითაც გუნდსაც გაამარჯვება მოუტანა — 5:4. ასეთივე ანგარიშით ლატვიელები დამარცხდნენ უკრაინის გუნდთან.

საინტერესო გამოდგა საქართველო — უკრაინის მატჩში გადადებული პარტიების დამთავრება. თბილისელი დიდოსტატი ე. გუფელდი დამარცხდა უკრაინის ჩემპიონთან, ოსტატ ლ. ალბურტთან. საქართველოს ჩემპიონმა ე. უბილავამ უსწოროდ ითამაშა და წაგო ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონ ა. ბელიავსკისთან, რომელმაც, სხვათა შორის, ამას წინათ ლასპალმასის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა.

სოხუმელმა ოსტატმა ა. ტუზოვსკიმ მოუგო სსრ კავშირის ოსის მფლობელს, საერთაშორისო ოსტატ ო. რომანიშინს. უარესი პოზიცია ჰქონდა საქართველოს გუნდის უფროს მწვრთნელს, ოსტატ ა. ბუსლაევს, მაგრამ ოსტატმა მ. მიხალჩიშინმა უპირატესობა ვერ გამოიყენა. პირიქით, ბუსლაევმა მარჯვედ ითამაშა და გაიმარჯვა. კობაიძის შეხვედრა ი. ოსტრიისთან ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩი საქართველოს წარმომადგენლებმა მოიგეს — 6:3.

პირველი წრის შემდეგ საქართველოს გუნდს 11 ქულა აქვს, უკრაინისა და ლატვიის კოლექტივებს — 8-8.

ჩვენ ეროვნულ ალბომიდან

ჩოხატაური

აქ დამთავრდა საწარმო-დაწესებულებათა პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 6 გუნდი. გაიმარჯვეს № 1 ჩაის ფაბრიკის წარმომადგენლებმა.

დ. გურგენიძე,
სოფელ კოხნარის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✓ ძველისა და ახლის შეტაკება

თუ ბრაზილიელ ფეხბურთელებს არ ვიგულისხმებთ, დასავლეთ გერმანიის ნაკრები ბოლო 20 წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილეთაგან ყველაზე ძლიერი და სტაბილური გუნდია. 1954 წელს დასავლეთგერმანელები ჩემპიონები გახდნენ — ფინალში დაამარცხეს უნგრეთის „დაუმარცხებელი“ გუნდი, რომელშიც თამაშობდნენ პუშკაში, ჰიდეგკუტი და კოჩიში; 1966 წელს ისინი ფინალში გავიდნენ, ხოლო 1958 და 1970 წლებში — ნახევარფინალში.

წლეულს ისინი შინ თამაშობენ და ამ მხრივ დიდი უპირატესობაც აქვთ, ფინალიდან „საკუთარი კედლების“ ფაქტორი ყველა წინა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს ეხმარებოდა. მომავალ ფინალურ ტურნირში, თუ გავითვალისწინებთ გუნდის ბრწყინვალე გამოსვლას ევროპის 1972 წლის ჩემპიონატში, დასავლეთ გერმანია უდავო ფავორიტია.

ამ ქვეყნის ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ, რაც ნაკრებმა პირველ დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიო ჩემპიონატში. ეს იყო ზუსტად 20 წლის წინათ. ამ ცვლილებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია 1963 წელს ბუნდესლიგის ჩამოყალიბება.

ამ დრომდე ასზე მეტი კლუბი ხუთ თანაბარძალოვან რეგიონალურ ლიგად იყოფოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კარგი მოთამაშეები სხვადასხვა გუნდში იყვნენ გაფანტული. ბუნდესლიგის ჩამოყალიბებით მდგომარეობა შეიცვალა, რადგან, გარდა იმისა, რომ ნამდვილი პროფესიონალიზმი გამეფდა, ყველაზე ძლიერმა მოთამაშეებმა ორ-სამ საუკეთესო კლუბში მოიყარეს თავი.

ეროვნული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ჰელმუტ შონმა ფეხბურთელთა უმეტესობა სამი საკლუბო გუნდიდან მიიწვია. ეს კლუბებია მენჰენგლადბახის „ბორუსია“, მიუნჰენის „ბაიერნი“ და „კიოლნი“.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ კმარა დასავლეთგერმანული ფეხბურთის განვითარების წარმოსადგენად.

არც ისე დიდი ხნის წინათ დასავლეთ გერმანია ჩრდილოეთ ევროპის გუნდების ყაიდაზე თამაშობდა: ნაკრებში იყვნენ უმეტესად ზორბა, ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი და გამბედავი ფეხბურთელები.

მაგრამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში სარბიელზე გამოჩნდნენ მოთამაშეები, რომლებიც სტილით უფრო ცენტრალური ევროპის ფეხბურთელებს გვაგონებენ. ისინი უფრო ელეგანტურნი და მოქნილნი, ინტელექტუალურნი და ოსტატურნი არიან, ვიდრე სწრაფნი და ძალისმიერნი, მაგრამ ტყუილუბრალოდ თავს არავის დააჩაგვრინებენ.

დასავლეთ გერმანიის გეოგრაფიული მდებარეობა — ერთ მხარეს ბრიტანეთი და სკანდინავია, მეორე მხარეს ავსტრია და იტალია — ნიშნავდა, რომ სხვადასხვა სტილის სინთეზი მუდამ შესაძლებელი იყო და ამ სტილთა შეხამებაში დიდი როლი ითამაშა პროფესიონალიზმმა.

ეროვნულ ნაკრებში ახალი სკოლის პირველი წარმომადგენელი ფრანც ბეკენბაუერი იყო. იგი 1966 წელს გამოჩნდა დიდ სარბიელზე, მამინ, როცა მხოლოდ 20 წლისა იყო, და ბრწყინვალედ დაიწყო თამაში მარჯვენა ნახევარმცველის ადგილზე.

ამის შემდეგ კიდევ ოთხი წელი გავიდა, სანამ შიონი გადაწყვეტდა საბოლოოდ გამოეცხადებინა ნდობა ნამდვილ ხელოვანთა ამ ახალი თაობისთვის. მწვრთნელს ეს ნაბიჯი გადადგმევინა სარბიელზე ჰოლანდიის საზღვარზე მდებარე პატარა ქალაქის მენჰენგლადბახის (მისი არსებობა ბევრმა არც კი იცის) კლუბის გამოჩენამ. ბრიტანეთის ბევრი გაზეთი და ჟურნალი დღემდე „მიუნქენ გლადბახს“ წერს — ალბათ გლადბახი მიუნჰენის შემოგარენი ჰგონიათ.

ეს კლუბი თავის წარმატებებს უნდა უმადლოდეს მწვრთნელ ჰენეს ვაისვაილერს, რომელსაც დიდი მოთმინება და გამბედაობა დასჭირდა გიუნტერ ნეცერის უაღრესად თავისებური ოსტატობის გამოსავლენად.

„ბორუსიის“ მთავარი მეტოქეა მიუნჰენის „ბაიერნი“. ბუნდესლიგის ჩამოყალიბებისას ორივე ეს კლუბი მის მიღმა დარჩა. ეს გუნდები დიდი ხანი როდია, რაც თავიანთი ქვეყნის ფეხბურთში ლიდერობენ, მაგრამ მალე შეეთვისნენ ახალ გარემოს და, 1968 წლიდან მოყოლებული, ჩემპიონობა არავისთვის დაუთმიათ. „ბაიერნმა“ ოთხჯერ გაიმარჯვა (იგი ჩემპიონი გახდა ახლახან დამთავრებულ სეზონშიც), ხოლო „ბორუსიამ“ ორჯერ მოიპოვა ოქროს მედლები.

1971 წელს გფრ-ის ნაკრებში „ბაიერნის“ დაცვა იყო გამეფებული. შვარცენბეკერა და ბრაიტნერს შეუერთდა ბეკენბაუერი, ხოლო კარს მაიერი იცავდა. ცენტრფორვარდის ადგილზე უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა მიულერი. ნახევარდაცვას „ბორუსიის“ ფეხბურთელები ნეცერი და ჰერბერტ ვიმერი „ამარაგებდნენ“, ხოლო მათი თანაკლუბელი ჰაინკესი ხან მარცხენა ფრთაზე თამაშობდა, ხან მარჯვენაზე.

უნგრეთში ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში, სწორედ ინგლისის გუნდთან ევროპის ჩემპიონატის ესოდენ გახმაურებული მეოთხედფინალური ბატჩის წინ, შიონმა გუნდში პირველად შეიყვანა „ბაიერნის“ კიდევ ერთი მოთამაშე, 20 წლის მოყვარული ული ჰაინესი.

ახალი „ბაიერნ“ — „ბორუსიის“ მოთამაშეთა კომბინაცია საერთაშორისო სცენაზე უდიდესი ბრწყინვალებით გადმოიფრქვა. ეს მოხდა „უემბლის“ სტადიონზე, სადაც გერმანელებმა, რომელთაგანაც თავდაცვას მოელოდნენ, ხელთ იგდეს თაასის სადაგეები, გააცამტვერეს ინგლისელები და გაიმარჯვეს — 2:1.

მაგრამ ბოლო 18 თვის მანძილზე გუნდს თანდათან მოაკლდა ბრწყინვალება. შარშანდელი წლის პირველ ნახევარში დასავლეთგერმანელებმა შინ წააგეს არგენტინასთან, იუგოსლავიასთან და ბრაზილიასთან. ნეცერი აღარ იყო გუნდში, რადგან ფულს გამოეკიდა და მადრიდის „რეალში“ გადავიდა.

ეს მარცხი გამოიწვია იმან, რომ ნეცერის წასვლის შემდეგ შიონმა გადაწყვიტა აღარ გამოეყენა ერთად „ბაიერნისა“ და „ბორუსიის“ მოთამაშეები. მთელი შარშანდელი სეზონის მანძილზე იგი ცდილობდა „ბორუსიის“ ყველა ფეხბურთელი შეეცვალა „კიოლნის“ მოთამაშეებით, რომლებიც ძველმოდურ ჩრდილოევროპულ სტილს მისდევნენ.

თუ „კიოლნის“ ფეხბურთელებს დატოვებდნენ გუნდში, დასავლეთ გერმანიის ნაკრები (რომელიც, მიუხედავად ამისა, ისევ ფავორიტი იქნება) ულამაზო და ძნელად ასაღები ციხესიმაგრე უფრო იქნება, ვიდრე მაღალი ოსტატობის მქონე და საინტერესო კოლექტივი.

მსოფლიო ჩემპიონები, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ჩემპიონები, თუ ფეხბურთის კეთილდღეობა სურთ, მარტო ჟულების მოგროვებას როდი უნდა ცდილობდნენ. ისინი ოსტატური, შემტევი თამაშის მაგალითს უნდა უჩვენებდნენ ყველას. ასე რომ, ვიქონიოთ იმედი „ბორუსიის“ ფეხბურთელებს — ფოგთსს, ვიმერს და ჰაინკესს ფინალური ტურნირის დაწყებისთვის ძირითად გუნდში დაბრუნებენ.

ტერი ბაშელი.

WM 74

გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: ვოლფგანგ კლიოფი („ბორუსია“), ფრანც ბეკენბაუერი („ბაიერნი“), ჰორსტ ჰიოტგესი („ვერდერი“, ბრემენი), ბერნარდ კულმანი („კიოლნი“), ჰოლ ბრაიტნერი („ბაიერნი“), ული ჰიონესი („ბაიერნი“), ვოლფგანგ ოვერატი („კიოლნი“), ჰაინც ფლოე („კიოლნი“), იურგენ გრაბოვსკი („აინტრახტი“, ფრანკფურტი), გერდ მიულერი („ბაიერნი“), იოზეფ ჰაინკესი („ბორუსია“).

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარეები: იოზეფ მაიერი („ბაიერნი“), ნორბერტ ნიგბური („შალკე 04“); მცველები: ბერტი ფოგთსი („ბორუსია“), ჰანს-იოზეფ კაპელმანი („ბაიერნი“); ნახევარმცველები: ჰერბერტ ვიმერი („ბორუსია“), გიუნტერ ნეცერი („რეალი“, მადრიდი); თავდამსხმელები: რაინერ ბონჰოფი („ბორუსია“), ჰელმუტ კრემერსი („შალკე 04“), ბერნდ ჰოლცენბაინი („აინტრახტი“, ფრანკფურტი), დიტერ ჰერცოგი („ფორტუნა“, დიუსელდორფი).

(„მორნინგ სტარი“, ლონდონი).



„მარაკანაზე“ დაღვრილი ცრემლები

(1950 წ. რიო-დე-ჟანეიროს ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი ჯორჯ რიდერი, ინგლისი)

ურუგვაი — ბრაზილია 2:1

ომრე მსოფლიო ომი დამთავრდა, მაგრამ ევროპას მძიმე ჭრილობები ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული. ასეთ ვითარებაში, 1946 წლის 1 ივლისს გაიმართა ფიფა-ს სხდომა, რომლის მთელ რიგ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შორის ყველაზე მთავარი და საინტერესო იყო მორიგი, მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად ბრაზილიის არჩევა. ეს იყო გონივრული და კარგად მოფიქრებული გადაწყვეტილება, ვინაიდან იმ პერიოდში ევროპაში არ მოიძებნებოდა არც ერთი ქვეყანა, რომელიც შეძლებდა ასეთი მნიმვნელოვანი და გრანდიოზული ასპარეზობის საათანადო დონეზე ჩატარებას. ბრაზილიელებმა მაშინვე დაიწყეს დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი და მსოფლიოში ყველაზე დიდი სტადიონის, 200000-ადგილიანი „მარაკანის“ მშენებლობა რიო-დე-ჟანეიროში...

ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის სისტემა მნიშვნელოვნად შეცვლილი იყო. შეხვედრები ჯერ ოთხ ქვეჯგუფში გაიმართა, ხოლო შემდეგ ოთხმა გამარჯვებულმა (ბრაზილია, ესპანეთი, შვეიცია, ურუგვაი) წრიული სისტემით დაამთავრა შეჯიბრება. დასკვნითი, მეექვსე ტურის წინ ბრაზილიელებს აქონდათ 4 ქულა, ხოლო ურუგვაელებს — 3. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად მასპინძლებს ცოტაც ჰყოფნიდათ — ფრე...

თანდათან, ბუნებრივად შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ბრაზილიური ფეხბურთის თითქმის ყველა გულშემატკივარსა და თაყვანისმცემელს, მათ შორის თვით ბრაზილიელ ფეხბურთელებსაც, შინაგანად სწამდათ მოახლოებული გამარჯვება. მხოლოდ ბრაზილიის სპორტული კავშირების მდივანი კოსტა ფრთხილობდა და ფეხბურთელებსაც აფრთხილებდა, ზედმეტად თავდაჯერებული ნუ იქნებითო:

— ძალიან ვშიშობ. თქვენ გგონიათ, ოქროს მედლები უკვე ჯიბეში გიდევთ. მაგრამ თუ ასეა, აბა მაჩვენეთ სადა გაქვთ ისინი? ნუ გავიწყდებათ, რომ ეს ამხანაგური შეხვედრა არ არის, მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩია და არც მეტოქე გეყოლებათ აბუჩად ასაგდები.

ურუგვაელები უფრო მშვიდი, ფსიქოლოგიურად ბრაზილიელებზე უკეთ მომზადებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მათი ნაკრების მენეჯერი, პოლკოვნიკი ვოლპე ამბობდა:

— ვითომ რატომ ვერ უნდა მოვიპოვოთ მსოფლიოში უძლიერესი გუნდის სახელი? თუკი 20 წლის წინათ შევძელით ეს, ახლა რაღა გვიშლის ხელს? მინდორზე ჩვენ გულდამშვიდებული გავალთ, რადგან დასაკარგი არაფერი გვაქვს. ეგეც არ იყოს, ბრაზილიელთა ტაქტიკასა და თამაშის სტილს ბევრად უკეთესად ვიცნობთ, ვიდრე ევროპელებისას.

„მარაკანაზე“ გადამწყვეტი შეხვედრის მსაჯობა მიანდეს არცთუ ახალგაზრდა ინგლისელ არბიტრს ჯორჯ რიდერს. იმ მატჩის შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში მიღებულ შთაბეჭდილებებს რიდერი ახლაც ცოცხლად და საინტერესოდ გადმოგვცემს:

„ეს იყო ჩემთვის, როგორც მსაჯისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, უკანასკნელი მატჩი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ „თავგადასავალს“, რომელიც რომანტიკულ და ფეხბურთის ფანატიკური სიყვარულით შეპყრობილ ბრაზილიაში გადამხდა, დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ.

ფინალური შეხვედრის მონაწილე გუნდებს რამდენადმე უკვე ვიცნობდი ქვეჯგუფებში ჩემს მიერ ჩატარებული მატჩებით (ბრაზილია და მექსიკა — 4:0, ურუგვაი და ბოლივია — 8:0). სიტყვა „რამდენადმე“ შემთხვევით არ მიხმარია. ბრაზილიელებმაც და ურუგვაელებმაც ისეთი უპირატესობით, თანაც ისე მსუბუქად, ძალდაუტანებლად ითამაშეს, რომ შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ისინი რაღაც ძირითადს, მთავარ ღირსებებს საიდუმლოდ ინახავენ „შავი დღისთვის“.

მშვენიერი, უზარმაზარი სტადიონი „მარაკანა“ იმ დღეს საოცრად პატარა მეჩვენა. მიზეზი ალბათ ის იყო, რომ სტადიონზე მოხვედრის მსურველთა არმიიდან ბედმა მხოლოდ ფეხბურთის 200 ათას თაყვანისმცემელს გაუღიმა. ორჯერ და შეიძლება სამჯერ მეტი გულშემატკივარი გარეთ დარჩა. მათ, თავიანთი სათაყვანებელი ფეხბურთელების გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებულმა, სახლებს მიაშურეს და რადიორეპორტაჟის მოსმენას დასჯერდნენ. დანარჩენები, ვისაც ოპტიმიზმის მარაგი ბოლომდე ეყო, უკანასკნელ მომენტამდე სტადიონის გარშემო წრიალებდნენ ბილეთების „შავ ბაზარზე“ შეძენის იმედით და, როგორც შემდეგ გავიგე, მატჩის დასასრულამდე არ მოშორებიან „მარაკანას“! არ ვიცი, სიყვარული იყო ეს თუ სიგიჟე?..

გვერდითს ხაზებზე თანაშემწეებად ჩემი თანამემამულეები არტურ ელისი და ჯორჯ მიტჩელი დამინიშნეს. ამან ძალიან გამიიოლა სამუშაო, ვინაიდან ენის პრობლემაც გადაჭრილი იყო და, რაც მთავარია, ბიჭებსაც ხუთი თითივით ვიცნობდი.

მატჩის შესავალი წმინდა სამხრეთამერიკული იყო. მეზღვაურთა და სხვა დიდი თუ პატარა ორკესტრები გაუთავებლად, შეუსვენებლივ უკრავდნენ მარშებს და ათასნაირ საზეიმო მუსიკას. სკდებოდა პეტარდები, ხალხის ყვირილსა და ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. რაღა გასაკვირია, რომ საკუთარი ხმაც კი არ მესმოდა ამ ჯოჯოხეთურ ორომტრიალში. ხალასი სამხრეთამერიკული ტემპერამენტი ზეიმობდა... მაგრამ, როგორც კი გაისმა ჩემი სასტვენის ხმა, ხალხით გაჭედილ სტადიონზე სამარისებურმა სიჩუმემ დასადგურა. ერთი წუთის წინათ საოცრად ხმაურიანი, ერთიან მასად ქცეული, სიმეტრიულად მოძრავი ვეებერთელა ქვაბი გაირინდა და ქანდაკებასავით გაქვავდა...

მაყურებელი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს თამაშს. მატჩის პირველი წუთები ისე წარიმართა, რომ ბრაზილიელთა მოსალოდნელი და „დაგეგმილი“ უპირატესობა არსად ჩანდა. ამან მათი გულშემატკივრების სახეებზე იმედგაცრუების პირველი, თუმცა ჯერ ბუნდოვანი ნიშნები დაჩნია. ბურთი ჩეტწილად ხაჯარიმო მოედნებს შორეს, შუა მინდორზე ტრიალებდა. მეტოქენი ყოველი ბურთისთვის შეუპოვრად, თავდაუზოგავად იბრძოდნენ. 45 წუთის შემდეგ ბრაზილიელები ისე წავიდნენ შესვენებაზე, რომ ანგარიში საყაიმო იყო — 0:0.

შეხვედრის მეორე ნახევარი თავიდანვე დაძაბულად დაიწყო. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ბრაზილიელთა მარჯვენა გარემარბმა ფრიაკამ ნანატრი გოლი გაიტანა — 1:0. „მარაკანაზე“ ვულკანივით ამოხეთქა ენით აუწერელმა აღტაცებამ და გამაყრუებელმა ყიჟინამ. მაგრამ ამ თავისებურმა გამამხნევებელმა მშობლიურმა ტალღამაც კი ვერ უშველა ბრაზილიელებს. როგორც კი მიწყახრდა პეტარდების ხმა, ურუგვაელმა სკიაფინომ, თითქოს ამას უცდიდა, ძლიერი, მოულოდნელი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1. მოკრივეებულმა ბრაზილიელებმა, რომელთაც ამ დრამატული, ბრაზილიური ფეხბურთის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო მატჩის ფინალში აშკარად უმუხთლათ ბედმა, მეტოქე ვეღარ დაიმორჩილეს. ფინალურ სასტვენამდე 9 წუთი იყო დარჩენილი, როცა ურუგვაელი ჯიგია მარჯვენა ფრთაზე გაიქცა მცველებს და გამარჯვების მაუწყებელი ულამაზესი გოლი გაიტანა...

ბრაზილიელი ფეხბურთელები თავჩაქინდრული ტოვებდნენ მინდორს, უმრავლესობა ცხარე ცრემლებით ტიროდა. ჰიპნოტიზებული, ელდისგან გაქვავებული მაყურებლები, რომელთაც ჯერ ვერც კი აღექვათ მთლიანად მათს თვალწინ მოძდარი ამბავი, გვიან ღამემდე არ მოშორებიან სტადიონის ტრიბუნებს.

„მარაკანაზე“ გამართულმა ფინალურმა მატჩმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო თავისი დრამატულობით, არამედ ჩინებული თამაშითაც, ორივე გუნდის წევრთა ჭეშმარიტად რაინდული და სპორტული ქცევით, რაც ასეთ დაძაბულ ვითარებაში იშვიათია. გამარჯვების ჯილდო — ნიკეს თასი ურუგვაელთა კაპიტან ობდულიო ვარელას გადასცა თვით ფიფა-ს პრეზიდენტმა, აწ განსვენებულმა ჟიულ რიმემ“.

* * *

სურათზე: ფინალური მატჩის წინ ერთმანეთს მიესალმებიან გუნდების კაპიტნები ურუგვაელი ობდულიო ვარელა (მარცხნივ) და ბრაზილიელი ფრიაკა. შუაშია მთავარი მსაჯი ჯორჯ რიდერი.

ნაკრები ემზადება

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ინტენსიურად ემზადება მომავალი შეჯიბრებებისთვის. ამ მზადების პროგრამით 4 ივნისს ნაკრები ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე ეთამაშა სსრ კავშირის ჩემპიონსა და თასის მფლობელს — ადგილობრივ „არარატს“.

ჩემპიონი ისე თამაშობდა, როგორც ჩემპიონს შეეფერის, ნაკრების წევრებს კი კიდევ დასჭირდებათ ზრუნვა მათ, რისთვისაც გაფრთხილება მიიღო.

მეორე ტაიმში, როცა მინდორზე გამოვიდა ახალგაზრდა ფეხბურთელი ფიოდოროვი, ნაკრების იერიშები უფრო სახიფათო გახდა. მაგრამ ნაკრების წევრთა მონდომებას წინ აღუდგა „არარატის“ დაცვა, რომელშიც ამ სეზონში პირველად გამოდიოდა გამოცდილი ცენტრალური მცველი ა. კოვალენკო. თამაშის ბოლოს „არარატის“ ფეხბურთელებმა კვლავ რამდენიმე საინტერესო იერიში განახორციელეს. ამ მატჩში ძელმა სამჯერ იხსნა ნაკრები.

შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა „არარატის“ საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში.

გუნდები ამ შემადგენლობებით თამაშობდნენ:

„არარატი“. აბრამიანი, მარტიროსიანი, ბონდარენკო (არუთინიანი), კოვალენკო, მესროპიანი, ანდრეასიანი, პოღოსიანი, იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, დაზარიანი (ნ. პეტროსიანი);

სსრ კავშირის ნაკრები. პილგუი, ძოძუაშვილი, ლეშჩუკი; ბურიკაი (ლოსევი), კაპლიჩნი, კოლოტოვი, მუნტიანი, კონკოვი, პავლენკო (ფიოდოროვი), შეპელი (ხაციპანაგისი), ბლოხინი.

7 ივნისს აქვე, „რაზდანის“ სტადიონზე, სსრ კავშირის ნაკრების ორი შემადგენლობა ერთმანეთს შორის გამართავს საწვრთნელ მატჩს. შემდეგ ნაკრები მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურნირში პოლონეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდებთან ერთად.

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

პირველი ჯგუფი

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „დინამო“ (სოხუმი) 1:5. მსაჯი ნ. შავიშვილი (თბილისი).

● „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი დ. კვინიკაძე (თბილისი).

ამ საინტერესო მატჩის მე-17 წუთზე კოზაევმა ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა, შემდეგ კაცელაშვილმა შორიდან დაარტყა მეტოქის კარში და ოჩამჩირელებს მეორედ მოუხდათ თამაშის ცენტრიდან დაწყება.

შემდგომში სტუმრებს რამდენიმე ხელსაყრელი ჩამენტი ჰქონდათ, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი გამოიყენეს (გუჩუა).

● „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ვარძია“ (ახალციხე) 1:0. მსაჯი ფ. ძნელაძე (თბილისი).

გოლი 25-ე წუთზე გაიტანა სიმონიშვილმა.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „განთიადი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ ანგარიში გახსნა განთიადელმა გოცირიძემ, 10 წუთის შემდეგ კი აბაშიძემ თანაფარდობა აღადგინა. გავიდა კიდევ 10 წუთი და ლოკომოტიველმა სანაძემ მეორე ბურთი გაიტანა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „სულორი“ (ვანი) 2:0. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

შესვენების (0:0) შემდეგ მასპინძლებმა ტემპს უმატეს, ზედიზედ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნეს და 65-ე წუთზე გოლიც გაიტანეს (კვიტაიშვილი). მე-80 წუთზე გორგილაძის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი პირდაპირ გავიდა „სულორის“ კარში.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ვანელი ა. ლორთქიფანიძე.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

მეზობელი რაიონების ფეხბურთელთა შეხვედრა ახლაც საინტერესოდ ჩატარდა. „ეგრისის“ მოთამაშეების ხოფერიას და ჯოჯუას ორ ბურთს ხობელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (გაბლია).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ცხაკაიელი რ. ხოფერია.

● „ჯახეთი“ (თელავი) — „ივერია“ (ხაშური) 4:1. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

მასპინძლები პირველივე წუთზე დააწინაურა აბდულაევის ზუსტმა დარტყმამ, შემდეგ კი ელისაშვილმა და ცირეკიძემ კიდევ ორჯერ აიღეს სტუმრების კარი.

მეორე ტაიმში ორივე გუნდის კარში კიდევ თითო ბურთი გავიდა.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

ტაიმი მოიგეს მასპინძლებმა — 1:0 (მარტინენკო), შეხვედრის მეორე ნახევარში კი თბილისელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში, რასაც მოჰყვა კოპალეიშვილისა და ციკოლიას გოლები.

ბოლოს

უფრო შეთანხმებული თამაშისთვის. ბრძოლა მიმზიდველი და მძაფრი იყო. ერევნელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და ნაკრების მეკარე პილგუის დიდი ჯაფა დაადგა. ნაკრებმა კი, ცოტა არ იყოს, ნელი ტემპით დაიწყო თამაში.

„არარატს“ გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ჯერ იყო და მარქაროვის მიერ მძლავრად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მერე კაპლიჩნიმ იგივე მარქაროვი აკრძალული ილეთით შეაჩერა „თავისი“ კარის მისადგომებთან, რისთვისაც გაფრთხილება მიიღო.

მეორე ტაიმში, როცა მინდორზე გამოვიდა ახალგაზრდა ფეხბურთელი ფიოდოროვი, ნაკრების იერიშები უფრო სახიფათო გახდა. მაგრამ ნაკრების წევრთა მონდომებას წინ აღუდგა „არარატის“ დაცვა, რომელშიც ამ სეზონში პირველად გამოდიოდა გამოცდილი ცენტრალური მცველი ა. კოვალენკო. თამაშის ბოლოს „არარატის“ ფეხბურთელებმა კვლავ რამდენიმე საინტერესო იერიში განახორციელეს. ამ მატჩში ძელმა სამჯერ იხსნა ნაკრები.

შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა „არარატის“ საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში.

გუნდები ამ შემადგენლობებით თამაშობდნენ:

„არარატი“. აბრამიანი, მარტიროსიანი, ბონდარენკო (არუთინიანი), კოვალენკო, მესროპიანი, ანდრეასიანი, პოღოსიანი, იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, დაზარიანი (ნ. პეტროსიანი);

სსრ კავშირის ნაკრები. პილგუი, ძოძუაშვილი, ლეშჩუკი; ბურიკაი (ლოსევი), კაპლიჩნი, კოლოტოვი, მუნტიანი, კონკოვი, პავლენკო (ფიოდოროვი), შეპელი (ხაციპანაგისი), ბლოხინი.

7 ივნისს აქვე, „რაზდანის“ სტადიონზე, სსრ კავშირის ნაკრების ორი შემადგენლობა ერთმანეთს შორის გამართავს საწვრთნელ მატჩს. შემდეგ ნაკრები მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურნირში პოლონეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდებთან ერთად.

ბოლოს

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიიღეს თბილისელმა ი. არაქელოვმა და გორელმა თ. ნოზაძემ.

მეორე ჯგუფი

I ზონა

„განთიადი“ (კასპი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 3:2, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 7:3, „მადნეული“ (ბოლნისი) — „კოლმეურნე“ (ბორჯომი) 5:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:0, „სამცხე“ (აწყური) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:2.

II ზონა

„ბიგანტი“ (ლაითური) — „ბასმარო“ (ჩოხატაური) 2:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 2:3, „აწინთიადი“ (აბაშა) — „მზიური“ (გალი) 2:2.

• • •

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია ზონალური პირველობის მონაწილე გუნდების საყურადღებოდ იტყობინება, რომ განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 20 ივნისი.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (რუსთავი)	12	9	3	0	22—8	21
„ლოკომოტ.“ ასკ (თბილისი)	12	7	3	2	22—13	17
„სალხინო“	11	6	4	1	26—7	16
„მეტალურგი“ (ზესტაფ.)	12	4	8	0	15—7	16
„მაღარ.“	11	6	3	2	17—8	15
ფიზკ. ინსტ.	11	6	2	3	15—6	14
„კახეთი“	12	5	4	3	20—16	14
„დინამო“	12	6	2	4	21—19	14
„კოლხეთი“	11	4	4	3	20—11	13
„ამირანი“	12	4	4	4	14—12	12
„შუქურა“	12	5	2	5	14—13	12
„ეგრისი“	12	4	4	4	10—10	12
„განთიადი“	12	4	4	4	9—10	12
„ქართლი“	12	2	4	6	16—18	8
„მეშახტე“	12	3	2	7	18—24	8
„სპარტაკი“	12	3	2	7	14—24	8
„ვარძია“	12	2	3	7	12—22	7
„სულორი“	12	3	1	8	11—24	7
„ივერია“	12	2	2	8	8—33	6
	12	2	0	10	13—31	4

ა. ივანიშვილი



67 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მთამსვლელი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ალექსი ივანეს ძე ივანიშვილი.

ა. ივანიშვილი სპორტში მოვიდა 1938 წელს, რის შემდეგაც მისი ცხოვრების გზა განუყრელად იყო დაკავშირებული ქართულ ალპინიზმთან. მისი სახელი კარგად იყო ცნობილი სპორტის მოყვარულთათვის. ჯერ კიდევ სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი ა. ივანიშვილი ირანში სსრ კავშირის სამხედრო მთამსვლელებთან ერთად ავიდა მაღლობელი აღმოსავლეთის უმაღლეს მწვერვალ დემავენდზე (5071 მ). ეს იყო საბჭოთა მთამსვლელთა პირველი ასვლა უცხოეთის ტერიტორიაზე მდებარე მწვერვალზე.

სამამულო ომის შემდეგ ა. ივანიშვილი ინიშნება საქართველოს ალპური კლუბის დირექტორად და მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას და ენერგიას მთამსვლელობის განვითარებას ახმარს. იგი ეწევა ორგანიზაციულ მუშაობას და ამავე დროს კავკასიის მწვერვალებზე ასვლებს აწყობს. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი ასვლა კავკასიონის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ დიხ-თაუზე, რაც ქართველ მთამსვლელთა დიდი მიღწევა იყო.

განსაკუთრებით დიდია ა. ივანიშვილის დამსახურება საქართველოში სასიმაღლო ალპინიზმის განვითარებაში. მის სახელთან ჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველ მთამსვლელთა ბრწყინვალე გამარჯვებები პამირის მწვერვალებზე 50-ან წლებში. ის იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი პამირის სასიმაღლო ექსპედიციებისა, რომლებიც მოეწყო მარქსისა და ენგელსის მწვერვალებზე შაჰდარის ქედზე, საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალ კომუნიზმის პიკზე, მოსკოვის პიკზე, აგრეთვე, დარვაზის ქედის მწვერვალების ტრავერსისა.

ა. ივანიშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს პირველ ექსპედიციას ლენინის პიკზე იმპერიალის ქედზე. იგი იყო ხელმძღვანელი ტიანშანის მთებში მწვერვალ გამარჯვებაზე მოწყობილი პირველი ქართული ექსპედიციისაც. მისმა მისწრაფებამ მუდამ ახლის ძიებისკენ, მისმა შესანიშნავმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, განაპირობა ამ ექსპედიციების წარმატება.

ა. ივანიშვილი დიდად კულტურული ადამიანი იყო. მისი ხელი ეტყობოდა ყველა კარგ საქმეს, რაც კი ქართული ალპინიზმის განვითარებისთვის გაკეთდა ომის წლებში. მისი სახით ჩვენს ახალგაზრდობას კარგი მასწავლებელი და ხელის შემწყობი ჰყავდა.

ომის შემდგომ წლებში ა. ივანიშვილი იყო საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, აქტიურად მონაწილეობდა სამამულო ომის ალპინიზმის განვითარებისთვის ბრძოლაში.

ა. ივანიშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული სპორტისთვის, ჩვენი მთამსვლელობისთვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;
საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაცია;
საქართველოს ალპური კლუბი.

შეცვლილი მარშრუტით

ვილნიუსი, 5 ივნისი. გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრაზზე მიმდინარე საკავშირო მრავალდღიანი ველოსიპედოლის მსაჯთა კოლეგიამ ტექნიკური მიზეზების გამო შეცვალა VII ეტაპის მარშრუტი: მინსკიდან გამოსული ველოსიპედისტები ლიტვის დედაქალაქის გზას კი არ დაადგნენ, არამედ ბრესტის გზატკეცილს გაუყვნენ.

ძირითად ჯგუფს გამოეყო 8 მრბოლელი, რომლებმაც სხვაობა თანდათან აიყვანეს... 9 წუთამდე. დაბა ლესნოესთან ფინიშის ხაზი ერთდროულად გადაკვეთეს ი. ოსინცევმა („ბურევესტნიკი“, ომსკი) და რ. კალნენიეკსმა (შეიარაღებული ძალები, რიგა), მაგრამ ბონიფიკაციის შემდეგ მათი მაჩვენებლები შესაბამისად ასეთია — 3:48. 34 და 3:48.54.

ამ 151-კილომეტრიან ეტაპზე მესამე იყო ა. ტიხონოვი („დინამო“, დუშანბე), რომელმაც 7 ეტაპის ჯამში ლიდერობა იგდო ხელთ.

გუნდურ ჩათვლაში ეტაპი მოიგო „ბურევესტნიკმა“, რისი წყალობითაც იგი რბოლის ლიდერს — შეიარაღებული ძალების ნაკრებს მიუახლოვდა და ახლა 2 წუთითა და 51 წამით ჩამორჩება.

წუხელ ველოსიპედისტები ვილნიუსში ჩამოვიდნენ... ავტობუსებით. ისინი დღეს ისვენებენ, ხვალ კი რბოლის მეორე ნახევარს დაიწყებენ — ლიტვის გზებს დაადგებიან.

ჩემპიონობა შეინარჩუნა

ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატში (ვერონა) ორჭიდში მოსკოველი რიუნკოვის (საშუალო წონა) გამარჯვების ამბავს ჩვენ წინა ნომერში ვიუწყებოდით. ახლა დავუმატებთ, რომ მან დამატებითს ცდაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში — 163,5 კგ. თავისი ტრადიციების ერთგული რიჟენკოვი შეეცადა კიდევ ერთი შესწორება შეეტანა მსოფლიო რეკორდების ცხრილში და აკვრაში იერიში მიიტანა 203 კგ-ზე, მაგრამ ამაოდ დაშვრა.

4 ივნისს გამოვლინდა გამარჯვებული ქვეძმიმე წონაში. ესაა შასტელი დ. რიგერტი, რომელმაც შეინარჩუნა ევროპის ჩემპიონის წოდება. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბულგარელმა ა. ნიკოლოვმა იმდენივე კილოგრამი (385) დააგროვა, რამდენიც რიგერტმა, მაგრამ მეტოქეზე მძიმე აღმოჩნდა. დავუმატებთ, რომ ეს შედეგი მსოფლიოს ახალი რეკორდია.

ბრინჯაოს მედალი ორჭიდში წილად ხვდა საბჭოთა ძალოსან ს. პოლტორაცკის — 362,5 კგ. ნიკოლოვმა გაუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი — 175 კგ აიტაცა.

ალი რინგს ტოვებს

ამას წინათ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მუჰამედ ალიმ (აშშ) ბეირუთში პრეს-კონფერენცია გამართა. ალიმ ჟურნალისტებს დაწვრილებით უამბო, თუ როგორ თქვა უარი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე და როგორ გაუწორდა ამის გამო მას ამერიკის ხელისუფლება.

ალიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მტაცედ აქვს გადაწყვეტილი სამუდამოდ დატოვოს პროფესიული რინგი, მაგრამ მანამდე აუცილებლად შეხვდება მსოფლიოს ახალგაზრდა ჩემპიონს ჯორჯ ფორმენს (როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა 1973 წლის იანვარში კინგსტონში ნოკაუტით მოუგო ჯო ფრეზიერს და პირველად მოიპოვა ბასოლუტური ჩემპიონის ტიტული). ფორმენთან გამარჯვებას ან მარცხს ალისთვის აღარავითარი მნიშვნელობა არ ექნება: იგი ორივე შემთხვევაში დატოვებს რინგს.

მომავალი ორთაბრძოლის შესახებ ალიმ მხოლოდ ის თქვა, რომ უკვე გადადგმულია პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მატჩის ორგანიზაციის მხრივ და რომ შეხვედრა სექტემბერში გაიმართება. მენეჯერები ვარაუდობენ, რომ ეს მატჩი სარეკორდო შემოსავალს — 25 მილიონ დოლარს მოიტანს.

შემდეგ ალიმ აღნიშნა, რომ ამ დღეებში კრივის სპეციალისტ ჟურნალისტთა ასოციაციამ (ნიუ იორკი) 1973 წლის საუკეთესო მოკრივედ გამოაცხადა ფორმენი და ისიც სავსებით ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას.

(საკ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1 ივლისიდან დაიწყება მეცადინეობა ერთთვიან **მოსამზადებელ კურსებზე** იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ინსტიტუტის დღის ან დაუსწრებელ განყოფილებაზე შესვლა.

მსურველებმა 25-დან 30 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ განცხადება, ატესტატის ასლი (მას, ვინც წლეულს ამთავრებს საშუალო სკოლას, შეუძლია წარმოადგინოს ცნობა სკოლის დამთავრების შესახებ), ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286), ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ (სტაჟი უნდა იყოს წელიწადში ექვსი თვე მაინც. ეს ეხებათ იმათ, ვისაც საშუალო სკოლა წლეულს არ დაუმთავრებია), მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მოწმობა და საკლასიფიკაციო ბილეთი რომელიმე სახეობაში ქვემოთ ჩამოთვლილებიდან: სპორტულ (არანაკლებ მეორე თანრიგისა), პედაგოგიურ და დაუსწრებელ (არანაკლებ მესამე თანრიგისა) ფაკულტეტებზე — მძლეოსნობა, სპორტული ან მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, ჭიდაობა (თავისუფალი, კლასიკური, სამბო, ძიუდო), ძალოსნობა, კრივი, ფარიკაობა, ველოსპორტი და საშთო სათხილამურო სპორტი.

კურსებზე სწავლის მსურველებმა უნდა გადაიხადონ დაწესებული საფასური. რაიონების მცხოვრენი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით. სწავლება — ქართულ და რუსულ ენებზე შემდეგ საგნებში: ქიმია, ფიზიკა. ჩატარდება აგრეთვე, მეცადინეობები ქართულ და რუსულ წერაში, პრაქტიკული მეცადინეობები საერთო ფიზიკურ მომზადებაში (ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, 10 საათიდან.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 49, ოთახი № 20. ტელეფონი 22-00-76.

ინსტიტუტის რექტორატი.

ИНДЕКС 86448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02602